

გამომშვიდობება გადასახლებულისა

არც აქა მქონდა სახლი და კარი,
საცა მივდივარ, არც იქ მექნება,
მაგრამ სამშობლო მე გაძევებულს
მომაგონდება, დამენატრება.

არც აქ მქონია ტკბილი სიცოცხლე,
საცა მივდივარ, არც იქ მექნება.ე
იქ დანაღვლებულს და დაფიქრებულს
მაინც სამშობლო მომაგონდება!

მომაგონდება იმისი კვნესა,
ცრემლი, ვაება, მტრისა მახვილი
და მათთან ერთად ვით სთქვა პოეტმა,
ძილშიც კი მწარე ამოძახილი!

ვიცი შევხვდები ჩემებრ ბედში მყოფს
ჩემს მამულიშვილს გამოძევებულს,
ყინულის ველზე შორს ჩრდილოეთში
ჩემსავ ბედში მყოფს, ჩემებრივ ბედკრულს
ხელს გამომიწვდის და მკითხავს: ძმაო,
მითხარ როგორ სამშობლო... ხალხი.

რას ვუპასუხებ, ნუგეშს რით მივცემ?
ისევ მონობა, ისევ მათრახი,
ყურში გაგვირბენს ტყვიის ზუზუნი,
ცეცხლის კოცონი ამოვარდება
და მტრის მახვილ ქვეშ დიდ და პატარას
სისხლის ღვართქაფი, კვნესა, ვაება!

იქავ კი ახლო სამშობლოს ვერაგ
შვილთა ქეიფი ქოხმახთ ნაცარზე,
ცალ ხელში ყანწი მტერთან კლავგაბმით
დაცლილი კულა მეორე მკლავზე.

მშვიდობით, ჩემო მორთულო მონავ,
ორი ზღვის ჯიღავეკავკასიონო,
შენ, ალაზანო დარბაისელო,

და კლდის ნაფეთქო, ცელქო რიონო!
მშვიდობით, ვიცი შენი მთა, ველი
ბევრჯელ და ბევრჯელ მომაგონდება,
მაგრამ შენს მკერდის ჩასახუტებლად
მხოლოდ ოცნება გადმოფრინდება!
ის შემოგივლის ლამაზს გარშემო,
საღამოს მწუხრზე, დილის სიოზე
და კვლავ შეკრთება, როს ნახავს ჯვარსა,
ჯვარს გოლგოთისას კავკასიონზე!
შენ რაღა გითხრა, ყვავილის ლანდო,
კარგა ხანია გითხარ მშვიდობით,
მაგრამ მე მახსოვს შენს გულზე ვარდი
და ჩვენ ორივე იმას შევსტრფოდით.
მახსოვს მე ახლაც წყაროს წვრიალი,
ჯეჯილი თითქოს ახლაც შრიალებს,
მაგრამ ყვავილი ქარს წაუღია
და ის ჭაობის გულში ტრიალებს!
ყვავილის ლანდო, მაინც მშვიდობით
და როგორც სატრფოს არ გეძრახება:
გული ლომისა, ბუჩქი კი ჩიტის:
რაწამს ყორანი დაიყეფება!
დიახ, მშვიდობით და მოგონებაც
მხოლოდ მას სტირის, იმასა ოხრავს,
რომ ჩემი ჩანგი სამშობლოს მკერდზე
ვეღარ იჟღერებს, ვეღარ დაუკრავს.

1910 წ.